

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის, აკადემიკოს ნიკო ვახანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა

2022 წლის 21-22 დეკემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში, ამავე ინსტიტუტის თაოსნობით, ჩატარდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის, აკადემიკოს ნიკო ვახანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით „ანალიზი, სტოქასტიკა, კომპიუტინგი“. [1https://micm.edu.ge/vakhania90/](https://micm.edu.ge/vakhania90/)



კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა და დოქტორანტებმა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან და კვლევითი ინსტიტუტებიდან. კონფერენციის მონაწილე ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი. საკონფერენციო ღონისძიებას, აგრეთვე, სტუ-ს მეცნიერების დარგში რექტორის მოადგილესთან, პროფესორ ზ. გასიტაშვილთან და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ესწრებოდა არაერთი მოწვეული სტუმარი.

კონფერენციის შესავალი ნაწილი მიეძღვნა აკადემიკოს ნიკო ვახანიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მოხსენებებსა და გამოსვლებს.

სტუ-ს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ვ. კვარაცხელიამ თავის გამოსვლაში ვრცლად ისაუბრა ნ. ვახანიას განვლილ საინტერესო გზაზე - სტუდენტობიდან გამოჩენილ მეცნიერამდე. გამომსვლელმა, როგორც ნ. ვახანიას ერთ-ერთმა მოწაფემ, გაიხსენა საყვარელი პედაგოგის დამოკიდებულება ახალგაზრდების მიმართ, მისი მიდგომები სასწავლო-სამეცნიერო პროცესისადმი: „...იგი საოცარი აზარტით და ენთუზიაზმით კითხულობდა ლექციებსა თუ მოხსენებებს. ცდილობდა და ახერხებდა კიდეც აეყოლიებინა მსმენელი, ეფიქრა მასთან ერთად და გაეხადა პროცესის თანამონაწილე. ბატონი ნიკოს ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა დაეუფლა მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდებს გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის კედლებში. კოლეგებისა და მოწაფეებისთვის დაუვიწყარია დახვეწილი ენით მასალის დამაჯერებელი გადაცემის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერა, რომელიც წლების განმავლობაში სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა. მისთვის არ არსებობდა ენობრივი ბარიერი - შესანიშნავად ფლობდა რუსულ და ინგლისურ ენებს. ყოველივე ეს კი თავდადებული შრომის შედეგი იყო, რომელსაც ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული და შრომისადმი იგივე დამოკიდებულებას მოითხოვდა თავისი მოწაფეებისგანაც.“



მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნ. ვახანიას სამეცნიერო მიღწევებს შორის უდავოდ გამორჩეული ადგილი უჭირავს იმ გარემოებას, რომ მან „საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მათემატიკის ერთ-ერთ ახალ მიმართულებას – ალბათობის თეორიას უსასრულოგან-ზომილებიან ვექტორულ სივრცეებში. მისმა ნაყოფიერმა სამეცნიერო მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აღნიშნული მიმართულების განვითარებაზე, ხოლო მისი კლასიკური მონოგრაფიები, როგორც არაერთი უცხოელი კოლეგა აღნიშნავს, დღესაც

მრავალი ციტირების და ახალი იდეების შთაგონების წყაროს წარმოადგენს. ბატონი ნიკო მრავალჯერ იყო მიწვეული მსოფლიოს ყველა კონტინენტის ცნობილ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში, სადაც უცხოელ კოლეგებთან ერთად ჩატარებული აქვს ერთობლივი სამეცნიერო კვლევები და წაკითხული აქვს ლექციების კურსი, რაც უდავოდ მიუთითებდა მისი ღვაწლის და ნიჭის საერთაშორისო აღიარებას. საბჭოთა მათემატიკოსთაგან ის იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც სამეცნიერო სამუშაოს ჩასატარებლად ხანგრძლივი მივლინებებით იმყოფებოდა იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში (1973 წელს - იაპონიაში, ხოლო 1975, 1976 და 1980 წლებში კი ფულბრაიტის ფონდის მიწვევით - ამერიკის შეერთებულ შტატებში). მის მიერ შექმნილმა სამეცნიერო სკოლამ მოკლე დროში მაღალი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. უკვე ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც ის ვექტორულ სივრცეებში ალბათობის თეორიის ერთ-ერთ წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრად ითვლება...”

გამომსვლელმა ასევე აღნიშნა, რომ ბატონი ნიკოს შემოქმედებითი აქტივობა არ შემოფარგლულა მხოლოდ სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით: „პროფესორი ნ. ვახანია 1970-1973 წლებში იყო თსუ კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, 1971-2004 წლებში კი - თსუ შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრის გამგე. მისი ორგანიზატორული ნიჭი მკაფიოდ და სრულად გამოვლინდა გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობის პერიოდში, რაც 1978 წლიდან დაწყებული 27 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების საქმიანობაში და მრავალი წელი ასრულებდა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილის მოვალეობას. ბატონი ნიკო მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო, საპრობლემო თუ ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში, რომელთაგან გამოვყოფდით მის საქმიანობას “ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ენციკლოპედიაში” (მოსკოვი), “ქართულ ენციკლოპედიაში” (თბილისი), გამომცემლობა “ფაზისის” სტოქასტიკის სერიაში (მოსკოვი), ჟურნალ “ალბათობის თეორია და მისი გამოყენებების” (მოსკოვი) და “საქართველოს მათემატიკური ჟურნალის” სარედაქციო საბჭოებში. იგი აგრეთვე იყო გამოთვლითი მათემატიკის საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის და საერთაშორისო ინოვაციის ფონდის წევრი...”

სიტყვის დასასრულს, ვ. კვარაცხელიამ აღნიშნა:

„აკადემიკოსი ნიკოლოზ ვახანია 2014 წლის 23 ივლისს გარდაიცვალა. გარდა იმისა, რომ იყო შესანიშნავი ორგანიზატორი, მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა მრავალ სამეცნიერო ნაშრომსა და მონოგრაფიას მოიცავს. საქმე, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა, ახლაც ცოცხალია და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი ამჟამადც ნაყოფიერად იღწვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში. ნ. ვახანიას მეცნიერული და პედაგოგიური ღვაწლი იმთავითვე სათანადოდ იყო აღიარებული და დაფასებული - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმადის და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პრემიები, ორჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო ჯილდო – ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ყველა, ვინც კი იცნობდა ბატონ ნიკოს, დიდად აფასებდა მის მაღალ პროფესიონალიზმს, პრინციპულობასა და ობიექტურობას, გამორჩეულ ადამიანურ თვისებებს, ღირსების გრძნობას და კეთილგანწყობას კოლეგების მიმართ. მრავალი ჯილდო აქვს ბატონ ნიკოს ამ ქვეყნად მიღებული, მაგრამ ყველაზე მთავარი ჯილდო, ალბათ, ის დიდი სიყვარული და პატივისცემაა, მის კოლეგებს, მოწაფეებს და ყოფილ თანამშრომლებს სათუთად რომ შემოუნახავთ“.

შემდეგმა გამომსვლელებმა, მათ შორის ნ. ვახანიას ყოფილმა მოწაფეებმა, განსაკუთრებული სითბოთი გაიხსენეს ნიკო ვახანიასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული ეპიზოდები, მასთან ურთიერთობის ამსახველი სახასიათო ისტორიები.

კონფერენციის პირველი ნაწილის ბოლოს გაიმართა აკადემიკოს ნ. ვახანიას მეუღლის, ქალბატონ ციალა მაისურაძე-ვახანიას წიგნის „მათემატიკოსის არქივიდან. ნიკო ვახანია-90“ პრეზენტაცია.



ც. მაისურაძე-ვახანიამ, რომელიც ინგლისური ენის ცნობილი სპეციალისტი და რამდენიმე წიგნის ავტორია, თავის გამოსვლაში დეტალურად ისაუბრა მეუღლის ხსოვნისადმი მიძღვნილ წიგნზე, რომელიც ნიკო ვახანიას საარქივო მასალებსა და მის პირად ჩანაწერებზეა დაფუძნებული. წიგნში ასევე მოყვანილია ბიოგრაფიული ცნობები აკადემიკოსის შესახებ, მისი მეგობრებისა და კოლეგების მოგონებები.



ავტორმა დამსწრეთ წარმოდგინა წიგნში შესული საინტერესო ფრაგმენტები ნიკო ვახანიას ცხოვრებიდან. კონფერენციის მონაწილეებმა სიამოვნებით მოისმინეს ც. მაისურაძე-ვახანიას მიერ სევდანარევი იუმორით მოთხრობილი რამდენიმე სახალისო ისტორია აკადემიკოსზე, რამაც კიდევ ერთხელ გაახსენა ყველას ამ მართლაც შესანიშნავი პიროვნებისა და მეცნიერის გამორჩეული ადამიანური თვისებები.

თავისი გამოსვლის დასასრულს, ც. მაისურაძე-ვახანიამ ყველა დამსწრეს საჩუქრად გადასცა საპრეზენტაციო წიგნის ეგზემპლარები.

შემდგომ, კონფერენციის მუშაობა გაგრძელდა თემატური მიმართულებების მიხედვით ჩამოყალიბებულ ორ სამეცნიერო სექციაში. მასში მონაწილეობა მიიღო ზემოთ დასახელებულ სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციებში მოღვაწე 30-ზე მეტმა მკვლევარმა. კონფერენციის მიმდინარეობის ორი დღის მანძილზე წარმოდგენილი იქნა 20 სამეცნიერო მოხსენება, რომლებშიც განხილული იქნა მათემატიკური ანალიზისა და მოდელირების, სტოქასტიკის, გამოთვლითი და ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამედროვე პრობლემები.



22 დეკემბერს, აკადემიკოს ნიკო ვახანიას ხსოვნისადმი მიძღვნილმა სამეცნიერო კონფერენციამ მუშაობა დაასრულა.